*დანართი №1*

# აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

## ამერიკისმცოდნეობა
## ბაკალავრიატი (უმაღლესი განათლების პირველი საფეხური)

## შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი

23.12.2025-9.01.2026
დასკვნის წარდგენის თარიღი
05.02.2026

თბილისი

## შინაარსი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ... 4

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა ... 5

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან ... 8

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა ... 8

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა ... 15

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა ... 20

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა ... 22

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები ... 29

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 229275405 |
| დაწესებულების სახე | უნივერსიტეტი |

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|---|
| **თავმჯდომარე** (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ლელა ვანიშვილი, შპს აღმოსავლეთ-დასავლეთ უნივერსიტეტი, საქართველო. |
| **წევრი** (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ქრისტინე ჩიხლაძე. სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. საქართველო |
| **წევრი** (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | |
| **წევრი** (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | |
| **წევრი** (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | |

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის.

## I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ქართულად) | ამერიკისმცოდნეობა |
| საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ინგლისურად) | American Studies |
| უმაღლესი განათლების საფეხური | ბაკალავრიატი – აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხური |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2] | ამერიკისმცოდნეობის ბაკალავრი |
| დეტალური სფეროს დასახელება და კოდი | (ISCED – F – 2013): 0388 ინტერდისციპლინური – მოიცავს სოციალურ მეცნიერებებს, ჟურნალისტიკასა და ინფორმაციას |
| ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება [3] | - |
| სწავლების ენა | ინგლისური |
| ECTS კრედიტების რაოდენობა | 240 |
| პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არააკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი) | აკრედიტებული |
| პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობები (სახელოვნებო-შემოქმედებითი ან/და სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში შემოქმედებითი ტური/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაზე მიღების/პროგრამის განხორციელების სპეციფიური მოთხოვნები) | - |

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით.

3 მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

## II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**[4]

**ამერიკისმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა** წარმოადგენს ჰუმანიტარულ მეცნიერებებზე დაფუძნებულ მრავალპროფილურ პროგრამას, რომელიც მიზნად ისახავს სტუდენტებისთვის კომპლექსური და ინტერდისციპლინარული განათლების უზრუნველყოფას ამერიკის ისტორიის, კულტურის, პოლიტიკის, ეკონომიკისა და სოციალურ-საგანმანათლებლო სისტემების შესახებ.
პროგრამა აღჭურვილია აკადემიური და პრაქტიკული კომპონენტებით, რაც სრულ შესაბამისობაშია ბაკალავრიატის საფეხურის მიზნებთან და შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნების ტენდენციებთან. პროგრამის კონცეპტუალური ჩარჩო აერთიანებს როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო გამოცდილებას და პრინციპებს.
საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მოთხოვნების გათვალისწინებით. ის უზრუნველყოფს როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული უნარების გამომუშავებას და იძლევა საფუძველს სწავლის გაგრძელებისა და პროფესიული განვითარებისთვის როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ.
პროგრამა საშუალებას აძლევს სტუდენტებს, შეისწავლონ თანამედროვე ამერიკისმცოდნეობითი საკითხები ისტორიულ და კულტურულ კონტექსტში, დაეუფლონ კვლევით მეთოდებს, ანალიტიკურ და კრიტიკულ აზროვნებას, აკადემიური წერის უნარებსა და პროფესიულ კომუნიკაციას ინგლისურ ენაზე.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

ექსპერტთა ჯგუფს დაევალა შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიერ ცენტრში წარდგენილი ამერიკისმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის შეფასება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნულ კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“.
შეფასების პროცესი განხორციელდა წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე და არ ითვალისწინებდა საგანმანათლებლო დაწესებულებაში ვიზიტის განხორციელებას.
შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტმა 2025 წლის 7 ნოემბრის №3879-IBSU-01 წერილით (ცენტრში რეგისტრაციის №1579119, 10.11.2025) წარადგინა შესაბამისი დოკუმენტაცია იმ საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით, რომელთათვისაც აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განისაზღვრა 60-დღიანი ვადა „ეროვნულ კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. აღნიშნული ვადა უკავშირდებოდა მიმდინარე შეფასებების ფარგლებში (ბრძანებები №544336, №544337, №544335; ოქმი №1322492) გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრას.
წარმოდგენილი დოკუმენტაციის განხილვის შედეგად დადასტურდა, რომ გაცემული რეკომენდაციები, რომლებიც ეხებოდა აკადემიური პერსონალისა და საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართული მოწვეული ლექტორების სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობის ამსახველი სივების განახლებას, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შესრულდა დადგენილ ვადებში, რაც დასტურდება ცენტრში წარმოდგენილი შესაბამისი დოკუმენტაციის საფუძველზე.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

ამერიკისმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა მკაფიოდ აღწერს სასწავლო მიზნებსა და სწავლის შედეგებს, რომლებიც ეროვნულ კვალიფიკაციების ჩარჩოში განსაზღვრულ დონეს შეესაბამება. შედეგები სწორად ასახავს სტუდენტისთვის განვითარების აუცილებელ კომპონენტებს: ცოდნას, უნარებსა და პასუხისმგებლობას/ავტონომიურობას.

---

[4] პროგრამასთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.

პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა ლოგიკურადაა განაწილებული, გათვალისწინებულია როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული კომპონენტები, რაც უზრუნველყოფს სტუდენტის ინტელექტუალურ და პროფესიულ განვითარებას.
პროგრამაზე დაშვების წესი, შეფასების სისტემა და სწავლების მეთოდები დადგენილია მოქმედი საკანონმდებლო ჩარჩოს შესაბამისად და უზრუნველყოფს გამჭვირვალობას, სამართლიანობასა და ხარისხის შენარჩუნებას.
გარდა ამისა, პროგრამა ითვალისწინებს კვლევით კომპონენტში სტუდენტთა აქტიურ ჩართვას, რაც უზრუნველყოფს მათი კვლევითი და კრიტიკული უნარების განვითარებას.

- **რეკომენდაციები**

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

  - პრაქტიკის კომპონენტის სტრუქტურული გამყარება, რაც მოიცავს პრაქტიკისთვის დამსაქმებლებისა და პარტნიორი ორგანიზაციების სპექტრის გაფართოებას — მაგალითად, ამერიკულ კულტურულ ცენტრებთან, მედიაორგანიზაციებთან, არასამთავრობო და საგანმანათლებლო დაწესებულებებთან პარტნიორობა;
  - პროგრამის სასწავლო გეგმის ეტაპობრივ მიბმას პრაქტიკულ გამოცდილებასთან, რათა სტუდენტებმა შესაბამისი თეორიული ცოდნის დაუფლების შემდეგ შეძლონ პრაქტიკაში რეალიზება. ეს ინიციატივა ხელს შეუწყობს კურსდამთავრებულთა შრომის ბაზარზე ადაპტაციას, აკადემიური ცოდნის პრაქტიკულ კომპეტენციად გარდაქმნას და გააძლიერებს მათი პროფესიული თვითრეალიზაციის შესაძლებლობებს.
  - პროგრამის სტრუქტურაში ჩართული ბლოკები, კერძოდ, ბლოკი I – *თარგმანმცოდნეობა* და ბლოკი II – *ამერიკის პოპ კულტურა და საზოგადოებასთან ურთიერთობა*, ღირებულ შესაძლებლობას აძლევს სტუდენტს ინდივიდუალური ინტერესების გათვალისწინებით ცოდნის გაღრმავებისთვის. თუმცა, პროგრამასა და თვითშეფასების დოკუმენტში აღნიშნული ბლოკები წარმოდგენილია ზოგადი აღწერით და არ იძლევა სრულყოფილი წარმოდგენის შექმნის საშუალებას აღნიშნული ბლოკების მიზნების, საგნებისა და სწავლის შედეგების შესახებ. სასურველია აღნიშნული კომპონენტი იყოს მეტად თვალსაჩინოდ და დეტალურად წარმოდგენილი
  - ამერიკისმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამაში წარმოდგენილი კურსები აერთიანებს თეორიულ და ზოგიერთ შემთხვევაში პრაქტიკულ ელემენტებს, თუმცა სტუდენტის მიერ პროფესიული, კვლევითი და პრაქტიკული უნარების ჩამოყალიბებისა და გაღრმავების კუთხით პროგრამას აქვს გაუმჯობესების პოტენციალი.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)[5]**

- **ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე**

[5] პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის

დაწესებულებას არ წარმოუდგენია დამატებითი გარემოებები ან მტკიცებულებები, რომლებიც გამოიწვევდა წარმოდგენილი დასკვნის გადახედვის აუცილებლობას; შესაბამისად, ექსპერტთა დასკვნა დაწესებულების მოსაზრებების განხილვის შემდეგ უცვლელად დარჩა.

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

## III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

### 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

#### 1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი:**

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ამერიკისმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამას აქვს მკაფიოდ განსაზღვრული მიზნები, რომლებიც შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს ძირითად მიმართულებებს:

- თანამედროვე ცოდნის დაუფლება და ანალიტიკური აზროვნების განვითარება:

პროგრამის მიზანია სტუდენტებს გააცნოს ამერიკული ცხოვრების მრავალფეროვანი ასპექტები როგორც დიაქრონული ასევე სინქრონული პერსპექტივიდან. ეს მიზანი სრულად შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს პრინციპს, რომელიც ითვალისწინებს სტუდენტმა მოიპოვოს სისტემური და სიღრმისეული ცოდნა. გარდა ამისა, პროგრამა ეფუძნება ანალიტიკური აზროვნების უნარების განვითარებას, რაც წარმოადგენს კრიტიკული და შემოქმედებითი მიდგომების ჩამოყალიბების ფუნდამეტურ საფუძველს

- პროფესიული და პრაქტიკული უნარების განვითარება ინტერდისციპლინარული სწავლების გზით

პროგრამა მიზნად ისახავს ქართველი და სხვადასხვა კულტურის წარმომადგენელი სტუდენტების აღჭურვას იმ უნარებით, რომლებიც აუცილებელია კულტურათაშორისი შედარებითი ანალიზისთვის. აღნიშნული მიზანი ასახავს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მოთხოვნას, უზრუნველყოს სწავლის შედეგების გადატანა პრაქტიკაში და მოიცვას პროფესიული რეალობისთვის ადეკვატური კომპეტენციების განვითარება.
ინტერდისციპლინარული კურსები, როგორიცაა „ამერიკის მულტიკულტურული სწავლება“, „ამერიკელ ქალთა საკითხების შესწავლა“ და „ამერიკის კულტურა და საზოგადოება“, უზრუნველყოფს ფართო შინაარსობრივ და მეთოდოლოგიურ სპექტრს, რაც აძლიერებს სტუდენტთა პროფესიულ მზაობას.

- ზოგადი უნარების განვითარება

პროგრამა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ისეთ ზოგად კომპეტენციებს, როგორიცაა ეფექტური და კრეატიული ფიქრი, წერითი და ზეპირი კომუნიკაცია, გადაწყვეტილების მიღება, პასუხისმგებლობა და თვითგანათლების უნარი. აღნიშნული უნარების განვითარება მნიშვნელოვან როლს თამაშობს როგორც აკადემიური, ისე შრომითი გარემოზე.

- ინტერდისციპლინარულობა და ლოკალურ-გლობალური კონტექსტების გათვალისწინება

პროგრამა ეფუძნება მულტიდისციპლინარულ და ინტერდისციპლინარულ მიდგომებს, რომელიც გულისხმობს სწავლების შინაარსის მოქნილობას, თემატურ მრავალფეროვნებასა და გლობალური საკითხების ლოკალურ კონტექსტში გააზრების უნარს. სტუდენტები შეისწავლიან ისეთ თემებს, რომლებიც მსოფლიო და ქართულ რეალობაში აქტუალური და რელევანტურია, რაც უზრუნველყოფს განათლების შედეგების გამოყენებადობას რეალურ სოციალურ და კულტურულ გარემოში.

ამერიკისმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის მიზნები სრულად შეესაბამება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დამტკიცებული ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიზნებს. პროგრამა უზრუნველყოფს მულტიდისციპლინარული ცოდნის მიღებას; აძლიერებს ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნების უნარებს; სტუდენტებს საშუალებას აძლევს აღიჭურვონ დამოუკიდებელი აზროვნებისა და სწავლისთვის საჭირო კომპეტენციებით.
შესაბამისად, აღნიშნული მიზნები ხელს უწყობს იმ კვალიფიკაციების განვითარებას, რომელიც საჭიროა არა მხოლოდ აკადემიური წარმატებისთვის, არამედ გლობალურ და ლოკალურ პროფესიულ სივრცეებში ეფექტური მონაწილეობისთვის.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- პროგრამა
- სილაბუსები
- ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის შესახებ თვითშეფასების ანგარიში

**რეკომენდაციები:**

- 

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- სასურველია პროგრამაში და თვითშეფასების ანგარიშში უფრო დეტალურად იყოს ჩაშლილი ბლოკი I - თარგმანმცოდნეობა და ბლოკი II - ამერიკის პოპ კულტურა და საზოგადოებასთან ურთიერთობა, არ იძლევა სრულყოფილი წარმოდგენის შექმნის საშუალებას აღნიშნული ბლოკების მიზნების, საგნებისა და სწავლის შედეგების შესახებ.

**შეფასება**

**პროგრამა სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობაშია**

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 1.1 პროგრამის მიზნები | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |

## 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

---

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

ამერიკისმცოედნოების საბაკალავრო პროგრამის მიზნებში მკაფიოდ არის წარმოდგენილი ამერიკული ცხოვრების დიაქრონიული და სინქრონული ჭრილში გააზრების, კულტურათაშორისი შედარების უნარების განვითარებისა და სტუდენტის ინტელექტუალური და პიროვნული კომპეტენციების გაძლიერების ამოცანები.

პროგრამის სწავლების შედეგები ცალსახად ასახავს ამ მიზნების განხორციელებას. კერძოდ:

- სტუდენტი ეუფლება ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიულ-კულტურული განვითარების ანალიზის უნარს გლობალურ და ლოკალურ კონტექსტში;
- იძენს კულტურათაშორისი ანალიზისა და შედარების უნარებს;
- ავითარებს ანალიტიკურ და კრიტიკულ აზროვნებას, ეფექტურ კომუნიკაციასა და თვითგანათლების უნარს.

სწავლების შედეგები შეესაბამება ეროვნული ჩარჩოს მოთხოვნებს ცოდნის, უნარებისა და ავტონომიის ჭრილში. კერძოდ:

- **ცოდნა და გაცნობიერება:** კურსდამთავრებული ფლობს კომპლექსურ თეორიულ ცოდნას ამერიკის შეერთებული შტატების კულტურის, ისტორიის, პოლიტიკური და სოციალური სტრუქტურის შესახებ, ასევე გააზრებული აქვს ამ ცოდნის გლობალურ და ლოკალურ კონტექსტებში გამოყენების მნიშვნელობა.
- **უნარები:** სტუდენტი ეუფლება რთული ტექსტების ანალიზს ინგლისურ ენაზე, არგუმენტირებული წერისა და ზეპირი გამოსვლის უნარებს; ავითარებს კვლევის ჩატარების, მონაცემთა ინტერპრეტაციისა და პრობლემების გადაჭრის პრაქტიკულ უნარებს.
- **პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა:** კურსდამთავრებული იჩენს პასუხისმგებლობას პროფესიულ და ეთიკურ საკითხებში, აფასებს საკუთარ შემდგომი განვითარების საჭიროებებს და ახორციელებს სწავლას დამოუკიდებლად.

**ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე,** ამერიკისმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის სწავლების შედეგები ლოგიკურად და შინაარსობრივად უკავშირდება პროგრამის მიზნებს; ასახავს დარგის სპეციფიკას და ინტერდისციპლინარულ ბუნებას; მოიცავს ცოდნის, უნარებისა და ავტონომიურობის იმ კომპონენტებს, რაც სრულ შესაბამისობაშია საბაკალავრო განათლების საფეხურის მოლოდინებთან.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- პროგრამა
- სილაბუსები
- ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის შესახებ თვითშეფასების ანგარიში

**რეკომენდაციები:**

- 

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

○

შეფასება

**პროგრამა სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობაშია**

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |

## 1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

ამერიკისმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამა უზრუნველყოფს სწავლების შედეგების ყოვლისმომცველ და სისტემურ შეფასებას, რომელიც ეფუძნება **შიდა და გარე შეფასების მრავალმხრივ მექანიზმებს**.

შიდა შეფასებების მექანიზმი მოიცავს:

- კურსდამთავრებულებსა და სტუდენტებს ეძლევათ რეგულარულად შეფასების პროცესში მონაწილეობა და უკუკავშირის მიწოდების საშუალება;
- ყოველი სემესტრის ბოლოს ანალიზდება სტუდენტების შედეგები და შეფასების შედეგები, რაც ეხმარება პროგრამის მართვას და გაუმჯობესებას.
- ინტეგრირებული შეფასებები, რომლებიც აფიქსირებენ სტუდენტთა უნარ-ჩვევების განვითარებას კვლევაში, კრიტიკულ აზროვნებაში და კომუნიკაციაში.

გარე შეფასების მექანიზმები:

- პროგრამა აქტიურად ახორციელებს დამსაქმებელთა მოთხოვნებს და მათ სთავაზობს ფოკუს ჯგუფებსა და გამოკითხვებს კურსდამთავრებულთა პროფესიული მზადყოფნის შესახებ;
- პროგრამა პერიოდულად ექვემდებარება საერთაშორისო და ადგილობრივი აკადემიური ჯგუფების შეფასებას, რაც უზრუნველყოფს პროგრამის შეჯამებას და შესაბამისობას თანამედროვე სტანდარტებთან;
- რეგულარულად იწარმოება კურსდამთავრებულთა გამოკითხვა, სადაც ისინი აფასებენ პროგრამის ეფექტურობას, სწავლების შედეგების შესაბამისობას პროფესიულ საჭიროებებთან და პირად განვითარებასთან;
- შედეგები გამოიყენება პროგრამის გაუმჯობესებისთვის და აკადემიური სტანდარტების დაცვით.

ამერიკისმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის სწავლების შედეგების შეფასების მექანიზმი არის **სისტემური, მრავალმხრივი და მუდმივად განახლებადი**, რაც უზრუნველყოფს აკადემიური მიზნების სრულ მიღწევას. შიდა და გარე შეფასებების მუდმივი კომბინაცია უზრუნველყოფს პროგრამის შესაბამისობას მაღალი აკადემიური სტანდარტების და პროფესიული საჭიროებების მოთხოვნებს. სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების შეფასებები ადასტურებენ, რომ პროგრამა ეფექტიანად ასრულებს თავიანთ მიზნებს და უზრუნველყოფს კომპეტენტურ, საზოგადოებისთვის საჭირო სპეციალისტებს.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები
- ბენჩმარკინგი
- ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის შესახებ თვითშეფასების ანგარიში

**რეკომენდაციები:**

-

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

-

**შეფასება**

**პროგრამა სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობაშია**

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |

## 1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

---

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

ამერიკისმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურა **ადეკვატურად ასახავს** ამერიკისმცოდნეობის, როგორც ინტერდისციპლინარული დარგის, ბუნებას. იგი აერთიანებს ლიტერატურის, ისტორიის, პოლიტიკის, სოციალური და კულტურული ანალიზის კომპონენტებს. სასწავლო კურსები დაყოფილია ბლოკებად, რაც უზრუნველყოფს თანმიმდევრულ პროგრესიას:

- ზოგადსაგანმანათლებლო კურსები
- სპეციალობის ძირითადი კურსები
- არჩევითი კურსები
- კვლევითი/საბაკალავრო ნაშრომის კომპონენტი

წარმოდგენილია სემესტრული განაწილება, რაც უზრუნველყოფს ზოგადი უნარების თანმიმდევრულ განვითარებას სპეციალურ კომპეტენციებთან ერთად.

შინაარსობრივად, პროგრამა ეფუძნება თანამედროვე ამერიკისმცოდნეობის სფეროს მიდგომებს. კურსების შინაარსი ადეკვატურად ასახავს სწავლის შედეგებში განსაზღვრულ კომპეტენციებს: მაგალითად, ისეთი მოდულები, როგორიცაა *„ამერიკის ლიტერატურა", „ამერიკული მედია", „ქალთა მოძრაობები ამერიკაში"*, ემსახურება როგორც საგნობრივ ცოდნის, ასევე ანალიტიკური და კრიტიკული უნარების განვითარებას.
პროგრამა სტუდენტს სთავაზობს **არჩევით კურსებს**, რაც ზრდის აკადემიური თავისუფლების ხარისხს და ეხმარება პიროვნულ ინტელექტუალურ ინტერესებზე მორგებული აკადემიური ტრაექტორიის ფორმირებაში. ინტერდისციპლინარული ხასიათი თვალსაჩინოა კურსების შინაარსში, სადაც კომბინირებულია ისტორიული ანალიზი, ლიტერატურული ინტერპრეტაცია და კულტურული თეორიები, რაც სრულ შესაბამისობაშია ამერიკისმცოდნეობის დარგის ბუნებასთან.
პროგრამა მოიცავს **საბაკალავრო ნაშრომს**, რომელიც აგებულია წინასწარ შეძენილი თეორიული ცოდნისა და კვლევითი უნარების გამოყენებაზე. აღნიშნული კომპონენტი უზრუნველყოფს სტუდენტის მზადყოფნას როგორც სამაგისტრო სწავლისთვის, ისე პრაქტიკული საქმიანობისთვის, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს პროგრამის ლოგიკურ სტრუქტურასა და შედეგებზე ორიენტირებულობას.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- სილაბუსები
- პროგრამა

**რეკომენდაციები:**

- 

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- 

**შეფასება**

**პროგრამა სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობაშია**

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |

## 1.5 სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

ამერიკისმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის კურსები შედგენილია ლოგიკური თანმიმდევრობით და აკადემიური დატვირთვის (საკრედიტო ერთეულების) მიხედვით, რაც სრულად შეესაბამება თითოეული კურსით განსაზღვრული სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო შრომატევადობას. თითოეული საგანი განსაზღვრულია 5 ECTS კრედიტით, ხოლო საბაკალავრო ნაშრომი 10 ECTS კრედიტით რაც შეესაბამება ევროპულ სტანდარტს. კურსების აღწერილობებში მკაფიოდაა გაწერილი სწავლების შედეგები, რომელთა მისაღწევად შინაარსი მეტწილად საკმარისია როგორც სიღრმისით, ისე მოცულობით.

პროგრამის ძირითადი სასწავლო დისციპლინები (core/მთავარი საგნები) უზრუნველყოფს ბაკალავრის დონის სტუდენტის იმ კომპეტენციებით აღჭურვას, რომლებიც განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგებში. მაგალითისთვის:

- **საგანი: „აშშ ისტორია და ინსტიტუციები“** — ხელს უწყობს სტუდენტს, გააცნობიეროს აშშ-ის დემოკრატიული კულტურის ჩამოყალიბება;
- **საგანი: „ამერიკული მედია და საზოგადოება“** — ავითარებს სტუდენტის ანალიტიკურ აზროვნებას და მასობრივი ინფორმაციის კრიტიკულად გააზრების უნარს;
- **საგანი: „ინტერდისციპლინარული კვლევის მეთოდები“** — ემსახურება სტუდენტის კვლევით უნარების განვითარებას და ეთიკის გათვალისწინებით საბაკალავრო ნაშრომის დაგეგმვას;

სილაბუსებში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. თითოეულ კურსს ახლავს თანამედროვე და განახლებული სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურა, აღსანიშნავია, რომ დამატებითი რესურსები ცხადად ასახავს კურსის ინტერდისციპლინარულ ხასიათს და არა მხოლოდ აღწერით დონეზე, არამედ ანალიტიკური და საკვლევი უნარების განვითარებასაც ემსახურება. ასევე, აღსანიშნავია რომ გამოყენებულია თანამედროვე ტექნოლოგიური რესურსები (აუდიო-ვიდეო მასალა, ინტერნეტბიბლიოთეკები).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ამერიკისმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კურსების შინაარსი და კრედიტები, ძირითადი საგნების სწავლის შედეგები, სილაბუსებში მითითებული მასალები სრულად უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- სილაბუსები
- პროგრამა

**რეკომენდაციები:**

-

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

-

**შეფასება**

**პროგრამა სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობაშია**

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 1.5 სასწავლო კურსი/საგანი | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |

**პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა**

| | | |
|---|---|---|
| 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ☒ |
| | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ☐ |
| | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ☐ |
| | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან | ☐ |

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

### 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული წინაპირობები ამერიკისმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამაზე განსაზღვრულია გამჭვირვალედ და სამართლიანად. პროგრამაზე დაშვების წესები და წინაპირობებისრულიად შეესაბამება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას, რაც ასახავს მიღბის პროცესში ადმინისტრაციული კანონმდებლობისა და ხარისხის უზრუნველყოფის შესაბამისობას. პროგრამა, ასევე, ითვალისწინებს უცხო ქვეყნის მოქალაქეების ჩარიცხვის, კანონმდებლობით გათვალისწინებულ წესს, რაც ქმნის ინკლუზიური და ინტერნაციონალიზებული გარემოს საფუძველს. პროგრამა ითვალისწინებს სტუდენტების ჩარიცხვას მობილობის წესით, როგორც საქართველოს შიდა მობილობის სისტემის, ისე უნივერსიტეტთაშორისი შეთანხმებების ფარგლებში, რაც უზრუნველყოფს სტუდენტების გადაადგილების თავისუფლებასა და მათ წვდომას პროგრამაზე სხვადასხვა ფაზაში.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- პროგრამა
- თვითსეფასების ანგარიში

**რეკომენდაციები:**

-

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

-

**შეფასება**

**პროგრამა სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობაშია**

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |

## 2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

პროგრამის სწავლის შედეგები განსაზღვრავს ისეთ უნარებს, რომლებიც გასდევს მთელ საგანმანათლებლო პროცესს და მჭიდროდ უკავშირდება სტუდენტის მომავალი პროფესიული,

სამეცნიერო ან საზოგადოებრივ საქმიანობას. პროგრამის განმავლობაში სტუდენტები იძენენ ანალიტიკური, კრიტიკული აზროვნებისა და კომუნიკაციის უნარებს რაც უზრუნველყოფს მათი ტრანსფერული კომპეტენციების განვითარებას; პროგრამა მოიცავს **კვლევით და პრაქტიკულ კომპონენტებს**, რაც ხელს უწყობს სტუდენტის ცოდნის რეალურ ცხოვრებაში გამოყენებას და კვლევით პროექტებში ჩართვას, **სასწავლო პროცესში ჩართულია კვლევაზე ორიენტირებული დავალებები და პროექტები**,; სტუდენტი სწავლობს **დამოუკიდებელი კვლევის დაგეგმვას, მონაცემთა მოძიებასა და ეთიკური პრინციპების დაცვით მათ ანალიზს**, რაც სრულად შეესაბამება ბაკალავრიატის საფეხურის დონეზე კვლევით კომპეტენციებს.
პროგრამა ასევე მოიცავს სხვადასხვა თემატიკაზე ორიენტირებულ პრაქტიკულ ამოცანებს, როგორიცაა პრეზენტაციები, დისკუსიები, ქეისების ანალიზი, PBL, რაც რეალურ სოციალურ თუ პროფესიულ კონტექსტთან აყალიბებს კავშირს.

ამერიკისმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამა სრულად უზრუნველყოფს სწავლების შედეგების შესაბამისად სტუდენტთა:

- ტრანსფერული უნარების განვითარებას,
- კვლევით და პრაქტიკულ საქმიანობაში ჩართულობას,
- და თეორიულად შეძენილი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების შესაძლებლობას.

პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი ეფექტიანად აერთიანებს კრიტიკულ-სამეცნიერო, ინტერკულტურულ, პრაქტიკულ და თანამშრომლობით კომპეტენციებს,

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- სილაბუსები
- პროგრამა

**რეკომენდაციები:**

- 

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- ამერიკისმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამაში წარმოდგენილი კურსები აერთიანებს თეორიულ და ზოგიერთ შემთხვევაში პრაქტიკულ ელემენტებს, თუმცა სტუდენტის მიერ პროფესიული, კვლევითი და პრაქტიკული უნარების ჩამოყალიბებისა და გაღრმავების კუთხით პროგრამას აქვს გაუმჯობესების პოტენციალი.

**შეფასება**

**პროგრამა სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობაშია**

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| **2.2** პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |

| |
|---|
| /შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება |

## 2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

